საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №№07-01/46

ქ. ბათუმი 22 ნოემბერი, 2019 წ.

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 20 ნოემბრის N1587446 სამსახურებრივი ბარათის და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ წესში (გადაწყვეტილების დანართი 1) შევიდეს ცვლილება, კერძოდ, **მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,3. ყოველი სასწავლო წლის (სემესტრის) დასაწყისში ბსუ–ს რექტორის ბრძანებით დგინდება ბსუ-ს სტუდენტთა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის - სწავლის სემესტრული საფასურის გადახდის პერიოდი. ბსუ-ს უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესი განისაზღვრება ცალკე, წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.“

2. წინამდებარე გადაწყვეტილება და შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით კონსოლიდირებული ,,სწავლის საფასურის გადახდის წესი“ გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“ და ,,სტუდენტის გზამკვლევი“).

3. გადაწყვეტილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურის და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და სასწავლო პროცესის დეპარტამენტს.

4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**